ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01-38/134

ბათუმი

21 სექტემბერი, 2017 წელი

ერთის მხრივ, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, წარმოდგენილი მისი უფროსის თემურ ყურშუბაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შ.პ.ს. ,,ბასმოტორს"–ის დირექტორი ამირან ბასილაძე (შემდგომში „მიმწოდებლი"), სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს საშემდუღებლო, საბურღი და საჭრელი აპარატების მოწოდება დანართი 1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (მოხს. ბარათი N 1087-09, 15/09/2017), ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს აღნიშნული საქონლის/მომსახურების მოწოდება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

CPV დანაყოფი 43100000 – 850 ლარი.
CPV დანაყოფი 43800000 – 900 ლარი.
CPV დანაყოფი 42600000 – 4900 ლარი.

2. ანგარიშსწორების ვალუტა

2.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 6650 (ექვსი ათას ექვსასორმოცდაათი) ლარს.
3.2. ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი;
3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
4.4 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაში/სასაქონლო ზედნადებში მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.
3.5. **ანგარიშსწორება განხორციელდება არასაბიუჯეტო სახსრებიდან.**

4. მომსახურების შესაბამისობა

4.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანახმად გაწეული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ წესებსა და ნორმებს;
4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი/მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5. მიღება – ჩაბარება

5.1. საქონელი/მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ. საქონლის/მომსახურების მიღება-ჩაბარება ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებულ საქონელზე/მომსახურებაზე.

5.3. საქონლის/მომსახურების მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

5.4 მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები სააგენტოს მხრიდან: სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსი თამაზ ვარშანიძე, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კოტროლი.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, წარმოდგენილი მისი უფროსის მოადგილის ანზორ გოგიტიძის სახით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მომსახურების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

გ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

დ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება და წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია;

ე) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდების ვადები, მაშინ მას ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოუწო-

დებელი საქონლის/მომსახურების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების მიმწოდებლის მიერ შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ,) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა და რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე; ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, შესრულდება ქართულ ენაზე.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან;

12.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე;

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკების გზით; იმ შემთხვევაში, თუ კონსენსუსი არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

12.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

12.6. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
12.7. ხელშეკრულება იდება სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ხოლო ორი „შემსყიდველთან".

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

14.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „ბასმოტორს"
მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. №81ა
საიდენტიფიკაციო კოდი-445440489
საბანკო რეკვიზიტები:
პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი GE03PC0653600100001625

დირექტორი
ამირან ბასილაძე

შემსყიდველი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზ.51
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 740397499
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 245631428

სააგენტოს უფროსი
თემურ ყურშუბაძე

დანართი 1

2017 წლის 21 სექტემბრის N01-38/134 ხელშეკრულებაზე

ინფორმაცია ფასების შესახებ

cpv კოდი	მოსაწოდებული საქონელი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	თანხა (ლარი)
43136000	საბურღი მოწყობილობა ტელეფერატორი, ელექტრო	ცალი	1	850	850
43812000	რკინის საჭრელი ელექტრო მოწყობილობა	ცალი	1	900	900
42662100	საშემდუღებლო აპარატი დიზელ-გენერატორი	კომპლექტი	1	4900	4900
	ჯამი				**6650**

აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსი — თემურ ყურშუბაძე

შ.პ.ს. „ბასმოტორს"–ის დირექტორი — ამირან ბასილაძე